

საქართველოს კანონი

„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №46, 3.12.1997, გვ.72) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი საორგანიზაციო წესების დარღვევა:

კ.ა) ობიექტის მშენებლობის დაწყება, მშენებლობის წარმოება ან/და ობიექტის დემონტაჟი სათანადო ნებართვის გარეშე;

კ.ბ) ობიექტზე საინფორმაციო დაფის განუთავსებლობა ან დაფაზე არასრული ინფორმაციის განთავსება – „მშენებლობის ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საინფორმაციო დაფის განუთავსებლობა ობიექტზე, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მიუთითებლობა ან ამავე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა;

კ.გ) მშენებარე ტერიტორიის შემომფარგვლელი უსაფრთხოების ღობის ან/და მშენებარე ობიექტის შემომფარგვლელი დამცავი ბადის დადგენილი წესის დარღვევით განთავსება ან განუთავსებლობა.

კ.დ) ობიექტის ფუნქციონირება ექსპლუატაციაში მიუღებლად. კ.ე)
მშენებარე ობიექტის წესის დარღვევით მიტოვება.

კ.ვ) დანგრეული, დაუმთავრებელი ან დამთავრებული სამშენებლო ობიექტის ტერიტორიის აღუდგენლად მიტოვება.

კ.ზ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიწერილობის შეუსრულებლობა ან არადროულად შესრულება;

კ.თ) ნორმატიული აქტით განსაზღვრული საორგანიზაციო წესების სხვა დარღვევა.

კ.ი) ავარიული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის განუხორციელებლობა.“

2. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები:

„დ) იმ შემთხვევაში, როდესაც დაუდგენელია მშენებლობის მწარმოებელი პირი, კანონის მოქმედება ვრცელდება სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეზე;

ე) ამ კანონის მოქმედება ვრცელდება, ასევე, სარეკონსტრუქციო ან სადემონტაჟო ავარიული შენობა-ნაგებობების მესაკუთრეებზე, რომელთა არსებობამ რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის გარეშე, შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.“

3. მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი „გ“ ქვეპუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში მშენებლობაში მონაწილეთათვის გასცენ მიწერილობა პროექტის, სამშენებლო ნორმებისა და წესების და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევათა გამოსწორების შესახებ. აღნიშნული მიწერილობა გაიცემა იმ შემთხვევაშიც, როდესაც მშენებლობის ობიექტზე არსებული (შემოტანილი) სამშენებლო მასალები, ნაკეთობები და კონსტრუქციები ვერ უპასუხებს დადგენილ მოთხოვნებს და მათი გამოყენება უნდა აიკრძალოს. მიწერილობა გაიცემა ასევე, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი საორგანიზაციო წესების დარღვევისათვის. მიწერილობის

შეუსრულებლობის შემთხვევაში დადგენილებით დამრღვევი ჯარიმდება როგორც მიწერილობის შეუსრულებლობისათვის, ასევე, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში არსებული დარღვევისათვის, რის გამოსასწორებლადაც გაიცა მიწერილობა.“

4. მე-4¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4¹ არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

1. არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები ხელმძღვანელობენ ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით, რაც არ ეწინააღმდეგება ამ კანონს.

2. ზედამხედველობის ორგანო დამრღვევის მიმართ საქმის წარმოებას იწყებს მიწერილობის გაცემით. ამ კანონის მიზნებისათვის, მიწერილობა წარმოადგენს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს შეთავაზებას დამრღვევის მიმართ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, ნებაყოფლობით შეასრულოს მიწერილობაში მითითებული პირობები, დარღვევის გამოსასწორებლად.

3. მიწერილობის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზეც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მიწერილობის პირობებთან მიმართებაში:

- ა) მიწერილობა შესრულდა.
- ბ) მიწერილობა არ შესრულდა.
- გ) მიწერილობა სრულდება არადროულად.

4. შემოწმების აქტის საფუძველზე თუკი აქტში დაფიქსირებულია დარღვევა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას:

- ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ;
- ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ;
- გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანი ან ნაწილობრივი შეჩერების და დემონტაჟის შესახებ;

5. იმ შემთხვევაში, თუკი დარღვევა გამოსწორებულია და არ არსებობს ამ მუხლის მეოთხე პუნქტით გათვალისწინებული დადგენილების მიღების საფუძველი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ;

6. თუ მშენებარე ობიექტზე არსებული დარღვევების გამოსწორება შეუძლებელია მშენებლობის შეჩერების გარეშე, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას მშენებლობის შეჩერების თაობაზე და გასცემს მიწერილობას დარღვევების გამოსწორების შესახებ.

7. დადგენილების მიღებამდე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია დამრღვევს აცნობოს სამართალდარღვევის საქმის განხილვის ადგილი, თარიღი, დრო და საქმის განმხილველი თანამდებობის პირი:

8. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული დადგენილება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის აღსრულების უზრუნველყოფა განისაზღვრება ამ კანონითა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების დადგენილება უნდა იყოს დასაბუთებული და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ რეკვიზიტებთან ერთად უნდა შეიცავდეს მითითებას იმ ორგანოზე, რომელშიც შეიძლება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, აღნიშნული ორგანოს მისამართსა და გასაჩივრების ვადას;

9. სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიერ მიღებული დადგენილება მიღებიდან 24 საათის განმავლობაში უნდა გაეცნოს დადგენილებაში მითითებულ მხარეს.

10. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დარღვევისათვის დაწესებული ჯარიმა ბიუჯეტში ჩაირიცხება „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით.

11. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება მხარისათვის მიწერილობის, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა (პირდაპირი ჩაბარებით) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის გარდა, გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება მიწერილობაში, შემოწმების აქტში, უწყებაში ან დადგენილებაში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე. თვალსაჩინო ადგილად ჩაითვლება:

ა) საინფორაციო დაფა;

ბ) მშენებლობის ტერიტორიაზე, სამუშაოთა მწარმოებლისათვის, დროებით განთავსებული შენობა;

გ) მშენებარე ტერიტორიის შემომფარგვლელი უსაფრთხოების დობე;

დ) „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ადგილების არარსებობისას, თვალსაჩინო ადგილად ჩაითვლება მშენებარე ობიექტის ფასადი.

12. ზედამხედველობის ორგანოს არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებისას გამოცემული აქტების გასაჩივრების წესი განისაზღვრება ამ კანონით.

13. სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიერ მიღებული დადგენილება (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში. ამასთანავე, გასაჩივრება არ აჩერებს არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების დადგენილების აღსრულებას მშენებლობის ან დემონტაჟის შეჩერების ნაწილში.“

5. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. პასუხისმგებლობა არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებისათვის.

1. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში მონაწილე სუბიექტები (მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად), რომლებიც ითვლებიან დამკვეთად ან რომლებსაც შეთავსებული აქვთ დამკვეთისა და მენარდის ფუნქცია, ჯარიმდებიან:

ა) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი საორგანიზაციო წესების დარღვევისათვის;

ბ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში არსებული დარღვევისათვის;

2. ამ კანონით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი ორი თვის შემდეგ, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირები ჯარიმდებიან წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის ორმაგი ოდენობით.

3. ამ კანონის მე-5 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში, ზედამხედველობის ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება მოახდინოს განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში, კანონმდებლობის დარღვევით მშენებარე ობიექტის მიწის ნაკვეთის რეალიზაცია აუქციონის ჩატარების გზით.

4. ჯარიმის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში, მშენებარე ობიექტის მიწის ნაკვეთის რეალიზაციის შესახებ, უნდა აღინიშნოს ამ კანონის მე-5 მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე მიღებულ დადგენილებაში.

5. დამრღვევს არ ეკრძალება აუქციონის ჩატარებამდე გაასხვისოს მიწის ნაკვეთი. გასხვისების შემთხვევაში დაჯარიმების შესახებ დადგენილება აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

6. ზედამხედველობის ორგანო აუქციონს ატარებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

7. უნებართვოდ და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების გამოვლენის და დაჯარიმების შემდეგ მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს შეუძლია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ასეთი ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს (გარდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების მოთხოვნებისა).“

6. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹-5¹⁰ მუხლები:

„მუხლი 5¹ პასუხისმგებლობა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში არსებული დარღვევისათვის.

1. მე-5 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში მონაწილე სუბიექტების მიერ სამშენებლო ნორმებითა და წესებით, პროექტებით, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის სფეროს სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების უგულვებელყოფა, ასევე, ქმედება რომლის შედეგადაც ობიექტების მშენებლობისას ირღვევა დადგენილი წესები, -

ა) განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

ბ) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებსა და ქ. თბილისის ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა-

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით;

გ) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით;

დ) მუნიციპალიტეტში, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით;

ე) დასახლების ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით;

2. განსაკუთრებული რეგულირების ზონაში შენობა-ნაგებობების კონსერვაციისა და სამშენებლო მოედნის უსაფრთხოებისათვის დადგენილი წესების დარღვევა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით;

მუხლი 5². უნებართვო მშენებლობა ან დემონტაჟი

ობიექტის მშენებლობის დაწყება, მშენებლობის წარმოება ან/და ობიექტის დემონტაჟი სათანადო ნებართვის გარეშე,-

ა) განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში,- გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით;

ბ) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებსა და ქ. თბილისის ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა-

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით;

გ) თვითმმართველ ქალაქში, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით;

დ) მუნიციპალიტეტში, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით;

ე) დასახლების ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,-
გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

5³ მუხლი. საინფორმაციო დაფის განუთავსებლობა ან დაფაზე არასრული ინფორმაციის განთავსება.

ობიექტზე საინფორმაციო დაფის განუთავსებლობა ან დაფაზე არასრული ინფორმაციის განთავსება,-

ა) განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

ბ) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებსა და ქ. თბილისის ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა-

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით;

გ) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით;

დ) მუნიციპალიტეტში, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით;

ე) დასახლების ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

5⁴ მუხლი. უსაფრთხოების ღობის ან/და დამცავი ბადის დადგენილი წესის დარღვევით განთავსება ან განუთავსებლობა.

მშენებარე ტერიტორიის შემომფარგვლელი უსაფრთხოების ღობის ან/და მშენებარე ობიექტის შემომფარგვლელი დამცავი ბადის დადგენილი წესის დარღვევით განთავსება ან განუთავსებლობა,-

ა) განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.

ბ) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებსა და ქ. თბილისის ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა-

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით;

გ) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით;

დ) მუნიციპალიტეტში, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით;

ე) დასახლების ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით.

5⁵ მუხლი ობიექტის ფუნქციონირება ექსპლუატაციაში მიუღებლად.

ობიექტის ფუნქციონირება ექსპლუატაციაში მიუღებლად,-

ა) განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

ბ) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის

ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებსა და ქ. თბილისის ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა-

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით;

გ) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით;

დ) მუნიციპალიტეტში, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით;

ე) დასახლების ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,-

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

5⁶ მუხლი მშენებარე ობიექტის დადგენილი წესის დარღვევით მიტოვება

მშენებარე ობიექტის დადგენილი წესის დარღვევით მიტოვება, -

ა) განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში გამოიწვევს დაჯარიმებას 30 000 ლარის ოდენობით;

ბ) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებსა და ქ. თბილისის ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა-

გამოიწვევს დაჯარიმებას 10000 ლარის ოდენობით;

გ) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, -

გამოიწვევს ჯარიმას 5000 ლარის ოდენობით;

დ) მუნიციპალიტეტში, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, -

გამოიწვევს ჯარიმას 1000 ლარის ოდენობით.

ე) დასახლების ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, -

გამოიწვევს ჯარიმას 200 ლარის ოდენობით;

5⁷ მუხლი დანგრეული, დაუშთავრებელი ან დამთავრებული სამშენებლო ობიექტის ტერიტორიის აღუდგენლად მიტოვება

დანგრეული, დაუშთავრებელი ან დამთავრებული სამშენებლო ობიექტის ტერიტორიის აღუდგენლად მიტოვება, -

ა) განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით;

ბ) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებსა და ქ. თბილისის ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა-

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით;

გ) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, -

გამოიწვევს ჯარიმას 1000 ლარის ოდენობით;

დ) მუნიციპალიტეტში, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, -

გამოიწვევს ჯარიმას 500 ლარის ოდენობით;

ე) დასახლების ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის “ა” ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, -
გამოიწვევს ჯარიმას 200 ლარის ოდენობით;

5⁸ მუხლი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიწერილობის შეუსრულებლობა ან არადროულად შესრულება,

მიწერილობის შეუსრულებლობა ან არადროულად შესრულება,-

ა) განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით;

ბ) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და “წყლის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებსა და ქ. თბილისის ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა-

გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით;

გ) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ პუნქტის “ა” ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, -

გამოიწვევს ჯარიმას 1000 ლარის ოდენობით;

დ) მუნიციპალიტეტში, გარდა ამ პუნქტის “ა” ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, -

გამოიწვევს ჯარიმას 500 ლარის ოდენობით;

ე) დასახლების ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის “ა” ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, -

გამოიწვევს ჯარიმას 200 ლარის ოდენობით;

5⁹ მუხლი საორგანიზაციო წესების სხვა დარღვევა

ნორმატიული აქტით განსაზღვრული საორგანიზაციო წესების სხვა დარღვევა,-

ა) განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით;

ბ) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და “წყლის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებსა და ქ. თბილისის ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა-

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით;

გ) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ პუნქტის “ა” ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, -

გამოიწვევს ჯარიმას 200 ლარის ოდენობით;

დ) მუნიციპალიტეტში, გარდა ამ პუნქტის “ა” ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, -

გამოიწვევს ჯარიმას 100 ლარის ოდენობით;

ე) დასახლების ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის “ა” ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიისა, -

გამოიწვევს ჯარიმას 50 ლარის ოდენობით.

მუხლი 5¹⁰. ავარიული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის განუხორციელებლობა

იმ ავარიული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის განუხორციელებლობა, რომლის არსებობამ რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის გარეშე, შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს,-

- ა) განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში,- გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით;
- ბ) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებსა და ქ. თბილისის ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა- გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით;
- გ) თვითმმართველ ქალაქში, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,- გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით;
- დ) მუნიციპალიტეტში, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,- გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით;
- ე) დასახლების ტერიტორიაზე, გარდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ტერიტორიებისა,- გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

7. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. ზიანისა და ხარჯების ანაზღაურება

1. დაჯარიმება დამრღვევს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორებისა და დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან.
2. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების თანამდებობის პირი, აგრეთვე სხვა მუსაკი მათ მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზარალისათვის პასუხს აგებენ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
3. იმ პირებს, რომლებმაც გაიღეს ხარჯები მათ საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობის იერსახის შენარჩუნების და სამშენებლო მოედნის უსაფრთხოებისათვის, თუ ამ ხარჯების გაღება გამოწვეულია მომიჯნავე ნაკვეთში მშენებლობისას სამშენებლო ნორმებისა და კონსერვაციის რეჟიმის დაუცველობით, უფლება აქვს მოსთხოვონ დამრღვევს გაწეული ხარჯების ანაზღაურება. ხარჯების ანაზღაურებაზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.
4. დადგენილ ვადაში დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თუ დარღვევის გადაუდებლად გამოუსწორებლობამ შეიძლება ზიანი მიყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს შეუძლია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება თავის მიერ ან მესამე პირობით ან/და ხარჯით მიწერილობის პირობების შესრულების თაობაზე. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აცერებს მის აღსრულებას.
5. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია მოსთხოვოს დამრღვევს ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაწეული ხარჯების ანაზღაურება. ხარჯების ნებაყოფლობით ანაზღაურებაზე უარის თქმის შემთხვევაში არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია მიმართოს სასამართლოს დამრღვევისათვის გაწეული ხარჯების დაკისრებისა და გადახდის მოთხოვნით.“

7. მე-7 მუხლი ამოღებულ იქნეს.

8. მე-8 მუხლის:

- ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 “1. 2008 წლის 1 იანვრამდე განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში მშენებარე ობიექტთან დაკავშირებით არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებების გასაჩივრება არ აჩერებს დადგენილების მოქმედებას შემდეგ შემთხვევებში:
 - ა) უნებართვო მშენებლობის დროს;
 - ბ) ეკოლოგიური საფრთხის არსებობისას;

გ) მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობის შემთხვევაში.”

ბ) მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტი:

„4) ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებმა კანონის ძალაში შესვლიდან ერთი თვის განმავლობაში უზრუნველყონ უვადოდ ან/და მშენებლობის დამთავრებამდე გაცემული იმ ობიექტების მშენებლობის დაწყების ნებართვების გაუქმება, რომელთა მშენებლობა ამჟამად შეჩერებულია ან არ არის დაწყებული;

5) ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს: „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებარე ობიექტზე თვალსაჩინო ადგილას განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 5 აპრილის № 1-1/284 ბრძანება.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი